
გადავარჩინოთ პომპეუსის ხიდი








,,პომპეუსის ხიდის რეაბილიტაციის“ წინასაპროექტო კვლევა 2018 წლის სექტემბერში გადაეგზავნა საქართველოს ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოს 2018 წლის 24 ოქტომბრის №12/4172 წერილის მიხდევით, წინადადება განხილულ იქნა ,,დამცავი ზონებისა და ურბანული მემკვიდრეობის სექციის“ სხდომაზე სადაც აღინიშნა რომ ,,მიზანშეწონილია უზრუნველყოფილი იქნას წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახული სამუშაოების განხორციელება კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით“.



2019 წლის 14 ივნისს, ქალაქ მცხეთაში ჩატარებული იქნა კონფერენცია თემაზე ,,მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის ინტეგრირებული მართვა“. ღონისძიების ურბანული განვითარების ადგილობრივი ხედვის ფარგლებში, ბატონი დიმიტრი ხუნდაძის მიერ წარმოდგენილი იქნა ფარნავაზის მოედნის რეაბილიტაციის პროექტის შემადგენელი ,,სამი ხიდის თანაარსებობის კონცეფცია“, რომელიც ითვალისწინებს მშენებარე ახალი ხიდის ექსპლუატაციაში მიღებასთან ერთად თითქმის ასწლოვანი, რკინის სამმალიანი ხიდის რეაბილიტაციას და მისთვის ტურისტულ-რეკრეაციული ფუნქციის მინიჭებას. ამ კონცეფციის მთავარი სტრატეგიას კი ე.წ. ,,პომპეუსის ხიდის“ გადარჩენა წარმოადგენდა.

აღნიშნული კონფერენციის შედეგებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა და ორგანიზაციულად ცენტრს დაევალა საკითხის უფრო დეტალურად ჩამოყალიბება, რაც შესაბამისად განხორციელდა და კონკრეტული წინადადებები პილოტპროექტების სახით წარდგენილი იქნა ქალაქ მცხეთის გენერალური გეგმის შექმნის პროცესშიც.



1780 წლის იოჰან გიულდენშტედტის მიერ შედგენილი კავკასიის რუკა

1771 წელს გერმანელმა მეცნიერმა და მოგზაურმა **იოჰან ანტონ გიულდენშტედტმი** (1745 – 1781). 23 მივლინებული იქნა რუსეთის იმპერიის სამხრეთი საზღვრებისა და ამიერკავკასიის კომპლექსური შესწავლისათვის. შეიარაღებული რაზმის თანხმლებით და გზის აღდგენითი სამუშაოების გატარების შემდეგ მან ორი კვირა მოანდომა მოზდოკიდან ტფილისში ჩასვლას. ექსპედიციის ფარგლებში საქართველოში იმყოფებოდა 1771 წლის სექტემბერი - 1772 წლის ოქტომბრამდე.

„ახლა გავემართეთ ზემოთ მტკვრის მარცხენა ნაპირის გასწვრივ, გავიარეთ დაახლოვებით ერთი ვერსი და გადავედით ხიდზე, რომლითაც სარგებლობისათვის ერთი მცხეთელი აზნაური იღებდა ხიდის ბაჟს. მან ძლივს გაუძლო ჩვენს გადასვლას. აქედან წავედით ქვემოთ მტკვრის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ და გავიარეთ ვერსი მთის ძირთან, რომელიც ძალიან ციცაბოდ ეშვება მტკვრთან, რომელიც ამის გამო, ორივე მხრიდან ძალიან შევიწროებულია.“



საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მიწვევით, 1808 წელს საქართველოში იმყოფებოდა ლინგვისტ-ორიენტალისტი **იულიუს ფონ კლაპროთი**. აღსანიშნავია, რომ იგი იოჰან გიულდენშტედტის შემდეგ მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე სწავლულ მოგზაურად. თბილისის ქართული საზოგადოება ყოველნაირად ეხმარებოდა მას მეცნიერულ კვლევაში, რამაც გააღიზიანა მაშინდელი მთავარმართებელი ივან გუდოვიჩი ივნისში კლაპროთი იძულებული გახდა დაეტოვებინა თბილისი. საქართველოში შემოსვლისას მან ინახულა ისტორიული ხიდი, რომლის შესახებაც შემდეგ აღნიშნავს:

„ამასთან, 1808 წლის 13 იანვარს, დაგვიბრუნეს პასპორტები ჯანმრთელობის სერთიფიკატით და განვთავისუფლდით კარანტინისაგან. ჩვენ დაუყოვნებლივ ვუბრძანეთ ცხენოსნებს დაუყოვნებლივ წასვლა, რადგანაც თორმეტი დღის განმავლობაში გვქონდა თავისუფლება შეზღუდული და ხშირად არ გაგვაჩნდა ცხოვრების პირველადი საჭიროებები. მცხეთიდან ჩვენი მარშრუტი აღმა აჰყვა მტკვარს, მდინარის მარცხენა მხარეს ორი ვერსის მანძილზე. მივედით ხიდთან, რომელიც ნაწილობრივ ქვისა და ნაწილობრივ ხისგან არის და ძალიან კარგი მდგომარეობაშია. აქ იყო განთავსებულმა საკარანტინო პოსტი და მცველმა მოგზაურებს მოთხოვა, წარმოედგინათ ჯანმრთელობის სერტიფიკატი.
ამ ხიდით შიდა ქართლიდან გადავედით ქვემო ქართლში და პოსტის შემდეგ გზა გავაგრძელეთ მდინარის მარჯვენა მხარეს.“

1811 წელს მცხეთა მოუნახულებია რუსეთის იმპერიის სამსახურში მყოფ დიპლომატს ვილჰელმ ფონ ფრეიგანგს მეუღლითა და ორი მცირეწლოვანი შვილით. ირან-რუსეთის ომის შემდგომი სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოების პარალელურად შეკრებილი იქნა ცნობები საქართველოს შესახებ. დიპლომატის მეუღლის ფრედერიკა ფონ ფრეიგანგის მეგობრისადმი მიწერილი 62 წერილი 1816 წელს გამოქვეყნდა თხზულების სახით, სადაც სხვადასხვა ინფორმაციასთან ერთად გადმოცემულია, თუ რა სახიფათო იყო შემოდგომიდან მაისის ბოლომდე საქართველოს სამხედრო გზაზე გადაადგილება. 24-ე წერილი გვამცნობს:

,,მცხეთიდან ერთი ვერსის დაშორებით არის ხიდი კურაზე. გვერდებზე აქვს ძველი კოშკები, რომლებიც ადრე მის დაცვას ემსახურებოდა. ამბობენ რომ ხიდი ააშენა პომპეუსმა, როდესაც მან თავისი ჯარით გადალახა ეს ქვეყანა; მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ იგი პომპეუსის მოსვლამდე ააშენეს მთავრებმა გედევანოვებმა, რომლებიც გარემო ტერიტორიებს ფლობდნენ.“



დიპლომატმა, მოგზაურმა, მხატვარმა დამწერალმა **რობერტ კერ პორტერმა** (იმოგზაურა კავკასიაში, ირანსა და მცირე აზიაში; 1817 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვიდა. ნაშრომში "მოგზაურობა საქართველოში, სპარსეთში, სომხეთსა და ძველ ბაბილონში" დაწვრილებით აღწერა საქართველოს სამხედრო გზა, ქვეყნის წარსული, ქართველთა ჩვევები და ადათები. მხატვრის და მოგზაურის სახით შენიღბულ დიპლომატს ინგლისის უმაღლესი პოლიტიკური წრეებისათვის ირანში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ საიდუმლო ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა.

ხიდის შესახებ პორტერი გვატყობინებს:


„12 ოქტომბერს, 11-ზე ჩვენ დავტოვეთ ეს საინტერესო, ძველი დედაქალაქი, გავიარეთ მტკვრის ჩრდილოეთი ნაპირი და დაახლოებით ერთი ვერსის მანძილზე გადავკვეთეთ მდინარეზე არსებული ხიდი, რომელიც, როგორც ადრე აღვწერე, მდებარეობს რომაული ხანის ორ დიდებულ კოშკს შორის. ამ ძველი ხიდის კონსტრუქციიდან აღარაფერია შემორჩენილი, გარდა ქვებისა, რომლებიდანაც ძველი თაღები ჩანს. ბოძები, რომლებიც თაღებს იჭერდნენ, გაქრა და თაღები ერთმანეთთან ხის პლატფორმებით არიან დაკავშირებულები. მათი მეშვეობით მგზავრები გადადიან ხიდზე და მათ ქვეშ მდ. მტკვარი მოჩქეფს.“

ფრანგი კომერსანტი ჟაკ ფრანსუა გამბა 1820 წელს საფრანგეთის მთავრობამ დანიშნა კონსულად თბილისში. ის ეხმარებოდა ფრანგ ვაჭრებსა და მრეწველებს, რომლებიც ამიერკავკასიაში ცდიდნენ ბედს, მაგალითად კასტელს. ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის ის დააჯილდოეს საპატიო ლეგიონის ორდენით. პარიზში მან გამოსცა თავისი მოგზაურობის აღწერა ორ ტომად, რომლის სრული სათაური იყო „მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში, კერძოდ მაიერკავკასიაში, რომელიც განახორციელა 1820-24 წლებში შევალიე გამბამ, მეფის კონსულმა თბილისში. ოთხი გეოგრაფიული რუკით“. ნაშრომში გადმოცემული არის ეკონომიურ, ეთნოგრაფიული და ისტორიული ხასიათის ცნობები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოზე, ჩრდილოეთ კავკასიაზე. მათ შორის არის ინფორმაცია ძველი ხიდის შესახებ:

„ციხიდან დაახლოებით ერთი ვერსი ძველი ქალაქის ნანგრევებს შორის ვიარეთ, სანამ იმ ხიდს მივაღწევდით, რომელიც შემოსევების შედეგად ნახევრად დანგრეული იყო. მის მშენებლობას პომპეუსს მიაწერენ. შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე თაღი, რომელზეც გადებულია კოჭები და ძალზე ვიწრო ფიცარნაგი, მოაჯირის გარეშე.“

შოტლანდიელი მოგზაურმა, პროფესიით ექიმმა **რობერტ ლაიელმა** 1822 წლის აპრილიდან აგვისტოს ჩათვლით იმოგზაურა რუსეთის სამხრეთ პროვინციებში და კავკასიაში. აქვს ქალაქის თბილისის აღწერილობასა და ჩანახატებთან ერთად დახატა „რომაული ხიდი მტკვარზე“ სხვ. საქართველოს დათვალიერებისას გარკვეული გზის ნაწილი განვლო ალ. გრიბოედოვთან ერთად. 1825 წელს გამოვიდა მისი ორტომიანი წიგნი „მოგზაურობა რუსეთში, ყირიმში, კავკასიასა და საქართველოში“.





რობერტ ლაილელის ჩანახატი

ამ წიგნის თავი XII იწყება ,,რომაული ხიდით“ მასში ავტორი გარკვეული სენტიმენტებით აღწერს:
,,მას შემდეგ, რაც მცხეთიდან რამდენიმე ვერსი ვიარეთ, მტკვრის მახლობლად მივადექით ხიდს, რომელთანაც ციცაბო, თვალწარმტაც კლდეებზე განლაგებულია ორი კვადრატული, წაწვეტებული კოშკი. ამბობენ, რომ ეს ხიდი პომპეუსმა ააგო თავისი ჯარის გასასვლელად, ხოლო თავშესაფრად კი სიმაგრები; მაგრამ ,,მოგზაურობა კავკასიაში“ წერილის ავტორი ვარაუდობს, რომ ისინი აიგო თავადმა გედევანოვმა, რომლებიც ამ მიდამოს ფლობდნენ პომპეუსის ჩამოსვლამდე. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ორივე მათ წარმოშობას შორეულ ანტიკურ ხანაში ჰქონდათ ადგილი. უძველესი ნაგებიდან მხოლოდ თაღების საძირკვლებია დარჩენილი.
ამ ხიდმა და კოშკებმა, მიმდებარე პეიზაჟებით, როგორც უკიდურესად თვალწარმტაცმა სრულად დაგვატყვევეს; და, ამის გამო, ჩემი ავიტაცე საუბარი პატარა თხრობის სახით თქვენ განსასჯელად, რადგან ავტორები საკუთარ თვალსაზრისს სხვადაგვარად გამოთქვამენ.
ეს არის ადამიანის გონების უცნაური სენი, - ამბობს კოტებეუ, აღფრთოვანებული ვარ საგნის პროპორციულობით, რადგან მას დროში დისტანცირებული წარმოშობა აქვს. მე ვეცდები დამტკიცებას, რომ დღეს ამას ნაკლები ყურადღება ექცევა; ჩვენ განვიხილეთ იგი, როგორც მსოფლიოს ერთ – ერთი საოცრება. ეს ქვა წარმოადგენს მაღალი სიძველის ყველა ვერტიკალს; თაღები ამბობს, რომ იგი ერთდროულად გრძელი და ძლიერია - საუბრობს სხვა; წესივრად ისინი ვეღარ მუშაობენ - მისტირის მესამე. ჩვენი ერთ-ერთი თანამგზავრი აღფრთოვანებული განიხილავს ორივე კლდეს და მის მწვერვალებს, რომლებიც ძალიან გავს ესტონურ ყველს, რაც მათ მომხიბლავ ელეგანტურობაზე მეტყველებს. ერთი სიტყვით, ყველა ეძებს ამ ძეგლში ინტერესისა და აღფრთოვანების საგანს. რაც შენეხება მე, ყველაზე დიდი საოცრება აღმოვაჩინე - რუსი გრენადირების დაცვა დიდი პომპეუსის ხიდზე. პომპეუსი რომ მართლა მობრუნდეს სამყაროში, ეს გარემოება მას ყველაზე მეტ დარტყმას მიაყენებდა. მე მჯერა, რომ პომპეუსი, მისი ოფიცრები და მისი ჯარი იტირებდნენ, გაკვირვების და ზიზღის ენით იტყოდნენ - ,,რა, სკვითები აზიის თბილ კლიმატში! დაბრუნდით ჩრდილოეთით ბარბაროსულ რეგიონებში! კავკასიონი არის თქვენი ბუნებრივი ბარიერი!“



1829 წელს საქართველოში იმოგზაურა რუსმა კლასიკოსმა მწერალმა **ალექსანდრე პუშკინმა** თავისი მოგზაურობა აღწერა ,,მოგზაურობა არზრუმში 1829 წლის ლაშქრობისას“. ნაწარმოებში ხიდის შესახებ შემდეგი ჩანაწერია:

,,გზა სასიამოვნო და თვალმწარტაცია, თუმცა მოსახლეობის კვალი იშვიათად გვხვდება. ღარცისკალადან რამდენიმე ვერსტში გადავკვეთეთ კურა ძველი ხიდით, რომაული ლაშქრობის ძეგლი.“



ამავე წელს საქართველოში მოგზაურობდა XIX საუკუნის ცნობილი რუსი მხატვარი **ნიკანორ ჩერნივცოვი** ფერწერული ტილოსათვის ,,ტიფლისის ხედი“ მან 1832 წელს აკადემიკოსის წოდება მიიღო.

ორივე ხელოვანი მეგობრობდნენ და სავარაუდოთ მათი შეხვედრა საქართველოში შედგა. მითუმეტეს პუშკინის პირად კაბინეტს ამშვენებდა 1832 წელს მხატვრის დაწერილი ტილო ,,დარიალის ხეობა“.

რაც შეეხება ჩერნივცოვის შემოქმედებას, მის კავკასიურ მოქზაურობის ეტიუდების სერიის ერთ-ერთი შესაანიშნავი ნიმუშია აკვარელსა და ტუშში შესრულებული ,,პომპეუსის ხიდი“, რომელიც დღესდღეობით ერმიტაჟის საცავშია დაცული.



პომპეუსის ხიდი. ნიკანორ ჩერნივცოვი. 1832 წელი

1833 წელს მცხეთის ხიდი უნახავს ცნობილ შვეიცარიელ მეცნიერ-არქეოლოგს და მოგზაურს **ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს**:



,,თანდათან მივიწევთ მაღლა, მდ მტკვრის ხეობის სიღრმეში. ძველ ხიდს, რომელიც ორ კლდეს შუა იყო გადებული, გადაჰყავდა მგზავრები მტკვრის შესართავთან, უძველესი კოშკის ძირას და სხვა ძეგლების ნანგრევებთან, რომელიც პატარა ხიდს გამოჰყოფენ უფრო მოზრდილისაგან. მისი შუა ნაწილი ხისა იყო, თაღი დიდი ხანია მოშლოდა და თუ მართლაც ეს ხიდი პომპეუსის მიერ იყო აგებული, უნდა ითქვას რომ მას დიდხანს გაუძლია ბუნების სტიქიისათვის. ვინ იცის, არქეოლოგებისათვის საინტერესო რამდენ ძვირფას საგანძურს ინახავს ეს ნანგრევები, რომლებიც ჯერ არავის მოუნახულებია...“

გრაფი კონსტან-ლუი-ალექსანდრ დე სიუზანე ახალგაზრდობაში ორჯერ იმყოფებოდა კავკასიაში. იგი ერთ-ერთი პირველი მოგზაურია, რომელიც მკვეთრად ააკრიტიკა რუსეთის იმპერიულ მთავრობას. 1835 წელს მოგზაურობისას მან მცხეთაც მოინახულა:

„როგორც კი ტიფლისის საგუშაგოს გავცდი, მშრალ მხარეში შევედი. ზოგჯერ ბაღებით და ზოგიერთი მდიდარი ქართველის სახლით დამშვენებულ მტკვრის ნაპირს მივუყვებოდი. მცხეთის პირდაპირ, მტკვარზე, ხის ხიდით გადავედი. ამ სოფლის ციხესიმაგრე და ეკლესია ქართველი სუვერენების მიერ იყო აშენებული; დაკბილული კედლები საკმაოდ მაგარი იყო მთიელების თავდასხმისგან თავის შესაფარებლად. ტიფლისისდან გასვლისას მხოლოდ 50 ვერსის შემდეგ დაინახავ ტყეებს; საქართველოს დედაქალაქის გარშემო მდებარე ტყეები რუსებმა გაანადგურეს და ეს ყოველ წელს გრძელდება, იკაფება პატარა ქალაქის, დუშეთის, გარშემო მდებარე მთებიც.“




ფრანგი მწერალი, დრამატურგი და ჟურნალისტი **ალექსანდრე დიუმა** კრედიტორებს გამოქცეული საქართველოში 1858 წლის დამლევს ჩამოსულა. თავისი მოგზაურობა დიუმამ წიგნში ,,კავკასია“ აღწერა, სადაც განსაკუთრებული დამოკიდებულება გამოხატა საქართველოს მიერ. მასში მნიშვნელოვანი და ორიგინალური ცნობები მოიპოვება საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობასა და მცხეთაზე:

,,უნდა ითქვას, რომ მთავრობამ მიმოსვლის გზებისთვის ძალზე უმნიშვნელო თანხა გასცა სამოცი თუ ოთხმოცი ათასი მანეთის რაოდენობით. ბევრს მუშაობენ, მაგრამ უშედეგოთ. ამიტომაც ამბობენ თბილისში: თუ ის ფული შეაგროვეთ (შეკრიბო), რაც ორმოცდაათი წლის განმავლობაში თბილისისა და ვლადიკავკასიის გზაზე დაიხარჯა, ამ გზის მანეთებით მოკირწყვლა შეიძლებაო.

ასეთ ქვეყანაში რომ მიმოსვლის საშუალებები მოეწყოს საჭიროა რომაული შრომა და ციკლოპური ნაგებობები, უზარმაზარი ფონდი, ჭეშმარიტად განათლებული ინჟინრები, ყველაზე მეტად კი უზადო კეთილსინდისიერება. დაპყრობა ყველას უნდოდა, მაგრამ ყველა შორდებოდა დაპყრობის ჭეშმარიტ, ერთადერთ საშუალებას. ომის რუსეთს ას მილიონზე მეტი უღირდა, მიმოსვლის გზებზე კი სამასი ათასი ფრანკი იყო ასიგნებული. ამიტომაც არ არსებობს გზები კავკასიაში.“

,,გადმოცემით, ამ გზაზე მიდიოდა მიტრიდატესგან დევნილი პომპეუსი. ჩვენი მასპინძლის მამის მიერ მტკვარზე 1840 წელს აშენებულ ხიდთან არის ნანგრევები აგურის ხიდისა, რომელსაც პონტის მეფის მძლეველს მიაწერენ. ამ ხიდზე გავლის შემდეგ შევდივართ მცხეთაში, საქართველოს ძველ სატახტო ქალაქში.

- ხიდმა დიდი როლი შეასრულა რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებულ ომებში;
- იგი წარმოადგენდა მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას იმპერიის დაქვემდებარებაში მყოფი ამიერკავკასიისათვის;
- ხიდის აშენებას შეეწირა ,,გორგასლისეული“ ხიდი და კუნძულებზე განლაგებული 2 მართკუთხა კოშკი, რომლის ქვის ნაწილი სამშენებლო სამუშაოებში მასალად იქნა გამოყენებული. თუმცა, დიუმა წერს: ,,ხიდთან არის ნანგრევები აგურის ხიდისა, რომელსაც პონტოს მეფის მძლეველს მიაწერენ.“ ამიტომ, თეორიულად შესაძლებელია არქეულოგიური კვლევების შედეგად უძველესი ხიდის გარკვეული დეტალები კიდევ გამოვლინდეს;
- ლაიელის მიხედვით: ,,ხიდი ააგო თავადმა გედევანოვმა, რომლებიც ამ მიდამოს ფლობდნენ პომპეუსის ჩამოსვლამდე“. დიუმა კი წერს: ,, ჩვენი მასპინძლის მამის მიერ მტკვარზე 1840 წელს აშენებულ ხიდთან“. წერილობითი წყაროებს დიდ უმრავლესობაში, ავტორები მოიხსენიებენ ,,პომპეუსის ხიდს“ და მხედარმთავრის როლს მის მშენებლობაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აზნაური გედევანიშვილები ხიდს განიხილავდნენ როგორც საგვარეულო საკუთრებას და მის მშენებლობას პომპეუსს მიაწერდნენ. სწორედ აქედან უნდა მომდინარეობდეს სახალხო სახელწოდება - ,,პომპეუსის ხიდი“, რომელიც ერთგვარ ბრენდათ იქცა ბაჟის ამკრეფთათვის. შესაბამისად, ინტერპრეტირებული ისტორია და სახელი მიეწოდებოდათ დაინტერესებულ მგზავრებსაც, რის შედეგადაც მან ფართო გავრცელება ჰპოვა და ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერებაშც აღიბეჭდა.
- ცხენის გატარებისათვის იხდებოდა ბაჟი 3 კაპიკი, რომელიც თუ შევადარებთ 1895 წლის ,,სტანციის“ ფასებს (ფუნტი ხორბლის პური - 6 კაპ. , ერთი ჭიქა შავი ყავა - 15 კაპ. , კარგი ხარისხის კახური ღვინის ერთი ბოთლი - 60 კაპ.) არცთუ დიდი თანხა იყო;



ხიდის პროექტი პოდპოლკოვნიკ ტერმინის თხზულება მდინარე მტკვარზე ახალი ხიდის შესახებ~“




ხიდი მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან



ხიდი მტკვრის დონის დაწევისას






ხიდის ქვის წყობის დღევანდელი მდგომარეობა



ხიდის გარემოს განვითარების გეგმა



ფარნავაზის მოედნის განვითარების წინასაპროექტო რენდერი



რკინის სამმალიანი ხიდის მშენებლობა (1926 წელი)





რკინის ხიდის განვითარების წინასაპროექტო რენდერი



გმადლობთ ყურადღებისათვის!